



საერთაშორისო დაცვის სამსახური

საინფორმაციო ბროშურის დანართი N2 საერთაშორისო დაცვის აპლიკანტებისთვის (IPO 1)

საინფორმაციო შეტყობინება

გარკვეული ქვეყნების უსაფრთხო წარმომავლობის ქვეყნებად ცნობა იუსტიციისა და თანასწორობის მინისტრის მიერ, 2015 წლის საერთაშორისო დაცვის აქტის თანახმად

2015 წლის საერთაშორისო დაცვის შესახებ აქტის 72-ე ნაწილის (უსაფრთხო წარმომავლობის ქვეყნები) და 2018 წლის ბრძანების (2018 წლის ნორმატიული აქტი N 121) თანახმად, იუსტიციისა და თანასწორობის მინისტრმა შემდეგი ქვეყნები სცნო უსაფრთხო წარმომავლობის ქვეყნებად, რომელიც ძალაშია **2018 წლის 16 აპრილიდან, ორშაბათიდან.**

ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, საქართველო, კოსოვო, მაკედონია (ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა), მონტენეგრო, სერბეთი და სამხრეთ აფრიკა.

თუ თქვენ ხართ საერთაშორისო დაცვის აპლიკანტი ჩამოთვლილ სახელმწიფოთაგან ერთ-ერთიდან, თქვენი განაცხადი სრულად განიხილება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნისას. თუმცა, შეფასებისას მოხდება შემდეგი პირობების გათვალისწინება:

(i) საერთაშორისო დაცვის მისაღებად თქვენს განაცხადს მიენიჭება პრიორიტეტი ინტევიუსთვის;

(ii) თქვენი განაცხადის განხილვისას, თქვენი ქვეყანა მიჩნეული იქნება უსაფრთხო წარმომავლობის ქვეყანად იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ მიუთითებთ რაიმე სერიოზულ მტკიცებულებას, რომლის მიხედვითაც თქვენი ქვეყანა არ არის უსაფრთხო წარმომავლობის ქვეყანა, თქვენი კონკრეტულ გარემოების მიხედვით და თქვენი კანდიდატურის განხილვასთან მიმართებით, საერთაშორისო დაცვის მოსანიჭებლად.

(iii) იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო დაცვის ოფიცრის რეკომენდაციით, თქვენ არ მოგეცემათ არც ლტოლვილის და არც სუბსიდირებული დაცვის დეკლარაცია, დასკვნა, რომ თქვენ იმყოფებით უსაფრთხო წარმომავლობის ქვეყნიდან, შეტანილი იქნება თქვენი განაცხადის განხილვის ანგარიშის 39-ე ნაწილში.

(iv) ასეთი დასკვნის შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ გადაწყვეტილება საერთაშორისო დაცვის სააპელაციო ტრიბუნალის წინაშე, წერილობითი ფორმით, , მინისტრის მიერ რეკომენდაციის შესახებ შეტყობინების გაგზავნის თარიღიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

(v) იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო დაცვის სააპელაციო ტრიბუნალი არ მიიჩნევს, რომ ეს არ შედის სამართლიანობის დაცვის ინტერესებში, მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით, ზეპირი მოსმენის გარეშე.

საერთაშორისო დაცვის სამსახური
2018 წლის 20 აპრილი